



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის  
ოქმი N 18**

ქ. ლანჩხუთი

29. 09. 2017 წელი

**საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვამე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე სარიშვილი, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ჯუმბერ ბლაგიძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის თავმჯდომარე“ ელგუჯა ჩხაიძე, საკრებულოს ფრაქცია „მაჟორიტარების“ თავმჯდომარე გოგი მორჩილაძე, საკრებულოს ფრაქცია „დამოუკიდებელის“ თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს ფრაქცია „უკეთესი ლანჩხუთისათვის“ თავმჯდომარე ომარ გოგიჩაიშვილი, ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარე ნონა მურვანიძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო მიდიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) მ/შ ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ვალერი წულაძე.

**სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები:** გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი მაგული კუნჭულია, გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის მ/შ ომარ ჯანაძე. გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო ცენტრის ხელმძღვანელი დავით წულაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ რამდენიმე თვეა მიმდინარეობს პროექტი „თვითმმართველობის ეფექტურობის გაძლიერება მოსახლეობის ინფორმირების ახალი მეთოდების გამოყენებით“. პროექტის მიზანი გახლავთ, თვითმმართველობის ორგანოების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესება ახალი ინოვაციური მეთოდების გამოყენებით და მოსახლეობის ინფორმირებულობა, რომელიც მიღწეულია. პროექტის თანახმად, დაინერგა მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნის სისტემა. ასევე, რამდენიმე თვეა მიმდინარეობს საკრებულოს სხდომების პირდაპირი ტრანსლაცია სოციალური ქსელის მეშვეობით, სხდომებს უკვე მრავალი ადამიანი ადევნებს თვალს. ყოველივე აღნიშნულმა გაზარდა მოქალაქეთა ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ხელს უწყობს საკრებულოს მუშაობის კიდევ უფრო ეფექტურობასა და გამჭვირვალობას. აღნიშნულ პროექტს ოზურგეთის „ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი“ და გურიის „ახალგაზრდა რესურსცენტრი“ ახორციელებს. საკრებულოს თავმჯდომარემ დიდი მადლობა გადაუხადა პროექტის მთავარ ორგანიზატორებს და დამფინანსებლებს - გაეროს განვითარების პროგრამის თანამშრომლებს ქალბატონებს, ნატალია ბარათაშვილსა და მაია გიორბელიძეს. ასევე, მინდია სალუქვაძეს და ლევან მჭავანაძეს.

საკრებულოს თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ** განაცხადა, რომ რამდენიმე თვეა საკრებულოში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება იმ პროექტებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონიდან. დღის წესრიგის პროექტში უნდა შესულიყო ბავშვის ხუთივე საკითხი, მაგრამ სხდომას არ ესწრება აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი პირები და შეუძლებელი იქნება მათი პოზიციის დაფიქსირება. ასევე, პროექტს არ ახლავს ფინანსური უზრუნველყოფის მასალები, თუ როგორ მოხდება ეტაპობრივად აღმასრულებელი ორგანოს მიერ მისი აღსრულება. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ბავშვთან დაკავშირებულ ხუთივე საკითხს დაეთმოს რიგგარეშე სხდომა. სხდომამდე აუცილებელია აღნიშნული პროექტების წინასწარი განხილვა ბავშვისა და ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის თანამშრომლებთან და ყველა დაინტერესებულ პირებთან ერთად.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ საქმე ეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა სკოლამდელი აღზრდა, რაც დღევანდელი ხელისუფლებისა და შესაბამისად, მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტული საკითხია. ამ კუთხით ნამდვილად ბევრი რამ გაკეთდა. დღეისთვის მუნიციპალიტეტში აშენდა და სრული რეაბილიტაცია გაიარა 11 ახალმა საბავშვო ბაღმა, აღსაზრდელების რაოდენობა 600-დან გაიზარდა 1 300 ბავშვამდე. ასევე, დაგეგმილია 3 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა. ინფრასტრუქტურული პროექტები, სანიტარულ - ჰიგიენური ნორმები და ყველა ის საკითხი რომელიც ემსახურება მომავალი თაობისთვის ღირსეული გარემოს შექმნას, ხორციელდებოდა ნაბიჯ - ნაბიჯ. აქედან გამომდინარე, ეს არის წარმატებული პრიორიტეტული პროექტი, რომლის სათანადოდ განხორციელებისთვის ძალისხმევა არ

დაუშურებია როგორც წარმომადგენლობით ორგანოს, ასევე აღმასრულებელ ხელისუფლებას. 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით უნდა დასრულდეს საბავშვო ბაღების ავტორიზაციის პროცესი. კანონი „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ პირდაპირ ავალდებულებს მუნიციპალიტეტების საკრებულოებს 2017 წლის 1 ოქტომბრამდე სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების, სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის შეფასების ანგარიშგების სისტემის შემუშავების მიზნით მიიღოს ნორმატიული აქტები(სულ ხუთი ნორმატიული აქტი). მისი თქმით, ის პირადად იყო სამუშაო ჯგუფის წევრი, რომელიც გაეროს ბავშვთა განვითარების ფონდთან (UNICEF) მუშაობდა საკრებულოში . ხუთივე ნორმატიული აქტი არის მომზადებული, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების მიერ შეჯერებული, კანონთან სრულ შესაბამისობაში მოყვანილი, რომლის განხილვაში საზოგადოების ნაწილი და შესაბამისი ა(ა)იპ - ის ხელმძღვანელობა აქტიურად იყო ჩართული. საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის, სამუშაო ჯგუფების შეხვედრის ოქმები ატვირთული გახლავთ მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე, ასევე არსებობს ფოტო და ვიდეო დასაბუთება. ამასთან, გარდა კანონისა „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ მუნიციპალიტეტებს ავალდებულებს შემუშავებულ იქნას ნორმატიული აქტები და შეიქმნას დაწესებულებები, რომლებიც შემდგომში უზრუნველყოფენ ავტორიზაციის პირობების მომზადებას. დღეს კი მუნიციპალიტეტის საკრებულოს დღის წესრიგიდან ამოღებულ უნდა იქნას აღნიშნული საკითხი პროექტის ფინანსური უზრუნველყოფის არქონის გამო. საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ არაერთგზის მიმართა აღმასრულებელ ხელისუფლებას გაეკეთებინა ფინანსური გათვლები, რომელიც ესაჭიროება პირველ და მეორე ნორმატიულ აქტს. დანარჩენ სამ ნორმატიულ აქტთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ეთიკის, შიდა პერსონალის, საკვალიფიკაციო მოთხოვნების წესებს, ფინანსური გათვლა საჭირო არ არის. დეპუტატმა მოითხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ გაუწიოს ზედამხედველობა გამგეობის შესაბამის სამსახურს, რომ დროულად, უმოკლეს ვადაში იქნას მათ მიერ მოწოდებული ფინანსური გათვლები, რათა არ შეფერხდეს ამ კანონის ამოქმედება და კანონით დადგენილი მითითება მუნიციპალიტეტმა შეასრულოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნება კანონის უგულებელყოფა..

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მუნიციპალიტეტის გამგეობიდან შემოვიდა რამოდენიმე საკითხი, რომელიც დაემატა დღის წესრიგის პროექტს.

სხდომის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტის შესწორებული ვარიანტი:

1. „ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისას დოკუმენტების ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვ. ჩხაიძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ა. ხუხუნიანიშვილი /

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ა. ხუხუნიანიშვილი /

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ი. ჩხაიძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ოქტომბრის N38 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი მ. კუნჭულია /

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ბ. ტაბიძე/

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 თებერვლის N13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ო. ჯანაძე/

9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

10. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ გრანტის მიღებაზე და შესაბამისი პროცედურების განხორციელებაზე გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 ივნისის N46 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი რ. ლაშხია

**დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.**

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

**მომხრე 22 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის პირველ საკითხზე:** „ა(ა)იპ „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისას დოკუმენტების ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას წარუდგინა ა(ა)იპ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მენეჯერმა, ვლადიმერ ჩხაიძემ. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხზე მსჯელობა უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს საკრებულოს კომისიებში და ფრაქციებში. დღეს ალბათ საკრებულო მიიღებს გადაწყვეტილებას, რათა სილამაზის სალონებზე კონტროლი, კონკრეტული სამართალდარღვევაზე რეაგირება, შესაბამისი ოქმის შედგენა და სასამართლოსთვის გადაცემა უზრუნველყოს ა(ა)იპ „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა“.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩახვაძე**, დაინტერესდა, თუ აღნიშნული წესის დამტკიცების შემდეგ ვინ და რომელმა სამსახურმა უნდა აიღოს პასუხისმგებლობა კონკრეტული სამართალდარღვევის აღსრულებაზე. მისი მოსაზრებით, წესი არ უნდა იქნას მიღებული მხოლოდ წესად, მისი დაცვა და შესაბამისი კონტროლი ყოველდღიურობაში უნდა განხორციელდეს.

ა(ა)იპ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მენეჯერმა, **ვლადიმერ ჩხაიძემ** განმარტა, რომ ა(ა)იპ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი კონკრეტული დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში შეადგენს შესაბამის აქტს, რომელიც გადაეგზავნება სასამართლოს და იგი გამოიტანს გადაწყვეტილებას, თუ რა ფორმით მოხდება იმ სალონების დაჯარიმება, რომელიც დაარღვევს დაწესებულ სანიტარულ -ჰიგიენურ ნორმებს. მისი თქმით , რადგან ა(ა)იპ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს“ არ ჰყავს იურისტი, თუკი კონკრეტული საქმის გადაგზავნა მოხდება სასამართლოში, ამ შემთხვევაში საქმეში ჩაერთვება გამგეობის იურიდიული სამსახური.

დეპუტატების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 22 დეპუტატი.**

**მომხრე: 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა დადგენილება N27 (29.09. 2017 წელი).**

**დღის წესრიგის მეორე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ მომხსენებლად განსაზღვრულმა წევრმა, ადამ ხუხუნაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხაში ახალი რეგულაციებით მოხდა ხელშეკრულებით მომუშავე მუშაკთა შტატში შეყვანა. ასევე, რამდენიმე დამხმარე მოსამსახურესათვის ხელშეკრულების გაფორმება. საჯარო სამსახურის ბიუროდან არის რეკომენდაცია, რომ საშტატო ნუსხაში ერთიანად იყოს შესული მუშაკთა რაოდენობა, რადგან იოლი გახდეს დადგენა, ამა თუ იმ საჯარო დაწესებულებაში რამდენი მუშაკი მუშაობს.

დეპუტატების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 22 დეპუტატი.**

**მომხრე: 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა დადგენილება N28 (29.09.2017 წელი).**

**დღის წესრიგის მესამე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ადამ ხუხუნაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლიდან გამომდინარე აუცილებლობა დადგა მოხდეს წარმოდგენილ დადგენილებაში ცვლილებების შეტანა.

დეპუტატების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 22 დეპუტატი.**

**მომხრე: 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

## მიღებულ იქნა დადგენილება N29 (29.09. 2017 წელი).

**დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე:** „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ია ჩხაიძემ**. მან აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 2 აგვისტოს N01/3007 წერილის თანახმად, რომელიც ეხება თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციებს, წარმოადგინა - „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. მისი თქმით, ცვლილება განპირობებულია „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლიდან გამომდინარე. დებულებაში გაწერილია, თუ როგორ უნდა მოხდეს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს შექმნა, რომელიც იქნება სათათბირო-საკონსულტაციო ორგანო და რომელიც საქართველოს გენდერული თანასწორობის შესახებ კანონისა და საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, განიხილავს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის დაცვის მდგომარეობას, შეიმუშავებს წინადადებებს ადგილზე გენდერული დისკრიმინაციის გამოვლენისა და მისი აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად.

დეპუტატმა **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ ორი წლის წინ მუნიციპალიტეტის გამგეობაში შეიქმნა გენდერული საბჭო, რომელშიც ის გაწევრიანებული იყო. მისი თქმით, იგი თვალს ადევნებს სხვა მუნიციპალიტეტებში გენდერული საბჭოს მუშაობას. ისინი აქტიურად არიან ჩართულნი თვითმართველობის საქმეში, წინა პლანზე წევრს ყველა აქტუალურ საკითხებს და ა.შ. დეპუტატი დაინტერესდა მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილმა გენდერულმა საბჭოს ამ ხნის განმავლობაში რა მუშაობა გაწია ამ მიმართულებით. გენდერული საბჭო არ უნდა შეიქმნას მხოლოდ სახელად, არამედ ყოველდღიურობაში აქტიურად უნდა იმუშაოს და წინა პლანზე წამოწიოს მუნიციპალიტეტის პრობლემატური საკითხები.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ **ია ჩხაიძემ** განმარტა, რომ ასევე პირადად იყო მიწვეული მუნიციპალიტეტის გამგეობის გენდერულ საბჭოში რიგით წევრად. მისი ინფორმაციით აღნიშულმა საბჭომ ვერ იფუნქციონირა.

საკრებულოს ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარე, **ნონა მურვანიძე** დაეთანხმა საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს, **ია ჩხაიძეს** და აღნიშნა, რომ აუცილებელია გენდერული საბჭოს შექმნა, რომელიც თავის დროზე წარმოდგენილი იყო პროექტის სახით, მაგრამ არ მომხდარა საბჭოს შემადგენლობის კენჭისყრა. გენდერული საკითხი არ ეხება მხოლოდ ქალისა და მამაკაცის თანასწორობას, არამედ გენდერული კუთხით განხილვა ნიშნავს, რომ დაცული უნდა იყოს ახალგაზრდების ინტერესები და



უფლებები, ასევე ასაკოვანი ადამიანების, ბავშვთა უფლებები. გენდერული საბჭო განიხილავს უამრავ თემას. სწორედ ამიტომ არის ეს საკითხი სენსიტიური ბიუჯეტთან მიმართებაში, რადგან გენდერულად გამართული ბიუჯეტის შექმნა ძალიან რთულია, მაგრამ აუცილებლად მისაღწევადი.

დეპუტატების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 22 დეპუტატი.**

**მომხრე: 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა დადგენილება N30 (29.09.2017 წელი).**

**დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ოქტომბრის N38 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას წარუდგინა გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა, **მაგული კუნჭულიამ**. მან აღნიშნა, რომ 2017 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილება, რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N412 დადგენილება. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ოქტომბრის N38 დადგენილება.

დეპუტატების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.**

კენჭისყრას ესწრებოდა 22 დეპუტატი.

მომხრე: 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა დადგენილება N31 (29.09.2017 წელი).

**დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე:** „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს დაეწერა სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის მიმდინარე წლის 1 აგვისტოს N791 წერილი, რომელსაც თან ერთვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, ელგუჯა გვაზავას (2017 წლის 27 ივლისის) №243 წერილი, მუნიციპალიტეტში დევნილთა პრობლემებზე მომუშავე პასუხისმგებელი პირის საშტატო ერთეულის შემოღებასთან დაკავშირებით. ვინაიდან სახელმწიფო ახორციელებს დევნილთა საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფის და კომპაქტურად ჩასახლების პროგრამას, აგრეთვე ხორციელდება სხვადასხვა პროგრამები როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან. იმისათვის, რომ დევნილების პრობლემები მაქსიმალურად იქნას მიტანილი მთავრობამდე და მათაც ხელი მიუწვდებოდეთ სახელმწიფო სერვისებსა და სხვა, მათთვის განკუთვნილ სიკეთეებზე, მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვნად მიაჩნიათ სპეციალური საშტატო ერთეულის არსებობა, რომელიც კონცენტრირებული იქნება უშუალოდ დევნილთა პრობლემების მოგვარებაზე. აქედან გამომდინარე, ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურს (2017 წლის 2 აგვისტოს N970 წერილი) მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული საკითხი განხორციელდეს სოციალურ საკითხთა, განათლების კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურში ერთ-ერთი გამოთავისუფლებული თანამშრომლის მიერ და დაევალოს დევნილთა საკითხების მოგვარება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იმისათვის რომ დევნილების პრობლემები მაქსიმალურად იქნას მიტანილი მთავრობამდე და მათაც ხელი მიუწვდებოდეთ სახელმწიფო სერვისებსა და სხვა მათთვის განკუთვნილ სიკეთეებზე, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია სპეციალური საშტატო ერთეულის არსებობა, რომელიც კონცენტრირებული იქნება უშუალოდ დევნილთა პრობლემების მოგვარებაზე. ამისათვის, სამსახურის სტრუქტურაში უნდა შევიდეს ცვლილება. კერძოდ,

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურში განათლებისა და კულტურის განყოფილების წამყვანი სპეციალისტის შტატის შემცირების ხარჯზე ერთი წამყვანი სპეციალისტის შტატით გაიზარდოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 22 დეპუტატი.**

**მომხრე: 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა განკარგულება N73 (29.09.2017 წელი).**

**დღის წესრიგის მეშვიდე საიტხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, **ბესიკ ტაბიძემ.**

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 22 დეპუტატი.**

**მომხრე: 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა განკარგულება N74 (29.09.2017 წელი).**

**დღის წესრიგის მერვე საიტხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2017 წლის 28 თებერვლის N13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსის მ/შ **ომარ ჯანაძემ**. მან აღნიშნა, რომ საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხასა და გეგმაში ცვლილება განპირობებულია ხუთი საპრივატიზებო ობიექტების : გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში ორი თავისუფალი მიწის ნაკვეთის, მამათის ადმინისტრაციულ ერთეულში ყოფილი უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობის, აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში დაუმთავრებელი შენობა-ნაგებობის და ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში ჟორდანის ქ. N76- თან , ყოფილი ჩაის ფაბრიკის მიმდებარედ 20 კვ.მ-ს დამატებით. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობას წერილობით მომართა „ენერჯო პრო ჯორჯიამ“, რომელსაც სურს ყოფილი ჩაის ფაბრიკის მიმდებარედ შეიძინოს აღნიშნული მიწის ნაკვეთი და ააშენოს ქვესადგური. მოხდა ნაკვეთის აუდიტის მიერ შემოწმება, რომლის ფასმაც შეადგინა 1კვ.მ-ზე 220 ლარი, ამას დაემატება ბიჯი, რომელსაც მიიღებს მუნიციპალიტეტის გამგებელი და ამით მუნიციპალიტეტში გარკვეული შემოსულობები შემოვა.

დეპუტატი **გიორგი გოგუაძე** დინტერესდა, მუნიციპალიტეტს შემდგომში რომ დასჭირდეს იგივე ტერიტორიაზე მიწის გასხვისება, შეფასდება თუ არა იგი 220 ლარად, რაზეც გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსის მ/შ-მა განმარტა, რომ ამას აფასებს დამოუკიდებელი აუდიტორი და ალბათ უნდა შეფასდეს იგივე ფასად.

დეპუტატმა **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ მომავალში რაიმე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად უმჯობესია წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის რეალიზაციისათვის მუნიციპალიტეტმა გამოაცხადოს პირობიანი აუქციონი, რასაც გამგეობის ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსის მ/შ და საკრებულოს წევრები დაეთანხმნენ და საკითხს კენჭი უყარეს ამ შენიშვნის გათვალისწინებით.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს .**

**კენჭისყრას ესწრებოდა 22 დეპუტატი.**

**მომხრე: 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა განკარგულება N75 (09.09.2017 წელი).**

**დღის წესრიგის მეცხრე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ**. მან აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 27 სექტემბერს გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურს დაეწერა ა(ა)იპ ლანჩხუთი „ტექსერვისის“ N56 წერილი, რომელიც ეხება მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულების გარე განათებაში შექმნილ რთულ ვითარებას ნათურებისა და სხვა მარაგი ნაწილების უკმარისობის გამო. სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, მდგომარეობის გამოსწორებლად გამოეყოს ა(ა)იპ „ტექსერვის“-ს 13 000 ლარი. აღნიშნული ხარჯის წყაროდან განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის თავისუფალი სახსრების ნაშთი 13 000 ლარის ოდენობით.

დეპუტატმა **ელისო ჭიჭინაძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს რამდენიმე გასული სხდომის უკან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მოხდა ცვლილება, რომელიც უკავშირდებოდა ა(ა)იპ ლანჩხუთის ტექსერვისი“-თვის გარე განათების ნათურების შესაძენად 23 000 ლარის გამოყოფას. ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში უკვე ათი თვეა არც ერთი ნათურა არ შეცვლილა და სოფელი ფატობრივად ჩაზნელებულია. იგი დაინტერესდა, გამოყოფილი თანხით რეალურად რამდენი ნათურა იქნა შეძენილი, აუცილებელია საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა მიაქციოს ამ ფაქტს ყურადღება და გააკეთოს შესაბამისი განმარტება.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ თუ რაში დაიხარჯა გამოყოფილი 23 000 ლარი, ამას გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახური ვერ უპასუხებს. ა(ა)იპ „ლანჩხუთი ტექსერვისი“-ში მომდინარეობს აუდიტორული შემოწმება, რომელიც გასცემს პასუხს, თუ რაში დაიხარჯა არა მარტო 23 000 ლარი, არამედ გაარკვევს ყველა იმ ხარჯების მიზნობრიობას, რომელიც გაწეულია მიმდინარე და წინა წლებში.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ იგი ეთანხმება კოლეგა-დეპუტატის მიერ გაჟღერებულ ფაქტს, გამოყოფილი 23 000 ათასი ლარიდან არც ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში და როგორც მისთვის ცნობილია, არცერთ სოფელში ერთი ნათურაც არ შეცვლილა. მან მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს, რადგან აღმასრულებელი ხელისუფლების პირველი პირებიდან არცერთი სხდომას არ ესწრებოდა, კონტროლზე იქნას აღნიშნული საკითხი აყვანილი. მისი თქმით, ა(ა)იპ ლანჩხუთის ტექსერვისი“-ს ასევე ევალება მუნიციპალიტეტის სოფლებში დაზიანებული წყლის მილების შეკეთება. როგორც ზემოთხსენებული ა(ა)იპ ის ხელმძღვანელები ამბობენ, ამისთვის საჭირო ფინანსები სამსახურს არ გააჩნია და სამუშაოები პრაქტიკულად არ ხორციელდება.

დეპუტატმა **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ გაკვირვებულია კოლეგებისგან ა(ა)იპ ლანჩხუთი ტექსერვისი“-ის ხსენებით, რადგან აქამდე არასდროს არავის გაუკრიტიკებია და

აღნიშნული ა(ა)იპ გამოიყენებოდა სხვადასხვა საკითხების მოსაგვარებლად ამ დარბაზში. გამგებელ ზაზა ურუშაძის არასწორი განკარგულებებით აღნიშნულ სამსახურს შესრულებინეს ზამთარში სხვადასხვა სამუშაოები და 23 000 ათასი ლარი რეალურად სწორედ ამას მოხმარდა. ეს იყო დანაშაული, როდესაც საკრებულომ მხარი დაუჭირა ამ თანხის ა(ა)იპ-სთვის მიცემას. დეპუტატებს სწორედ მაშინ უნდა ამოეღოთ ხმა და გაეპროტესტებინათ აღნიშნული ფაქტი, მაგრამ მაშინ არ იყო გარკვეული რაღაც დეტალები და არავინ არაფერი არ თქვა. (ეხლა კი გარკვეულია საარჩევნო პარტიული სიები, რომლიდანაც ვიღაცეები ამოვარდა). მან მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს, რომ თავის დროზე უფრო მეტი აქტიურობა და პრინციპულობა რომ გამოეჩინა, ასეთ რთულ სიტუაციაში არ აღმოჩნდებოდა იგი.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვადემ** აღნიშნა, რომ მან 23 000 ლარის ბიჯეტში ცვლილებას დაუჭირა მხარი იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული თანხა უნდა მოხმარებოდა მხოლოდ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ნათურების შექმნას და არა გასული წლების შესრულებული სამუშაოების დაფინანსებას.

გამგებობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ ბიუჯეტში ცვლილება არ განხორციელებულა წინა წლების სამუშაოების დაფინანსების მიზნით, არამედ ცვლილება მოხდა მხოლოდ მიმდინარე ხარჯების დაფინანსებისთვის.

დეპუტატმა **ელისო ჭიჭინაძემ** აღნიშნა, რომ ა(ა)იპ „ლანჩხუთის ტექსერვის“-ს ძალიან ბევრი სასიკეთო სამუშაოები გაუწევია მუნიციპალიტეტში, მაგრამ ეს გარემოება არ ნიშნავს იმას, რომ გაკეთებული კარგი საქმეებისთვის ამ მოცემულობაში არ გამოითქვას კრიტიკა. ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში გამოსაცვლელია 40 გარე განათების ნათურა, ასევე გასკდა წყლის მილი, რომელიც ხელს უშლის გზის საფარის დაგებას. აღნიშნულ სამსახურში მის პირად ზარებს არ პასუხობენ, ადგილზე მისულს კი პრობლემის მოგვარებას ამაოდ ჰპირდებიან.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ იმ საქმეების დაკარგვა და უგულებელყოფა არ შეიძლება, რაც აღნიშნულმა ა(ა)იპ-მა და მისმა ხელმძღვანელებმა გააკეთეს მუნიციპალიტეტისთვის.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 22 დეპუტატი.**

**მომხრე: 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

## **მიღებულ იქნა განკარგულება N76 (29.09. 2017 წელი).**

**დღის წესრიგის მეათე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ გრანტის მიღებაზე და შესაბამისი პროცედურების განხორციელებაზე გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 ივნისის N46 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა გამგეობის საფინანსო საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ ევროკავშირის მიერ მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემულ იქნა 6420 ევრო გრანტი. როდესაც მიღებულ იქნა განკარგულება, მასში ასახული იყო თანხა მთლიანად გურიის რეგიონზე, რომელიც შეადგენდა 14 482 ევროს. ახლა მოხდა დაკონკრეტება, თუ აღნიშნული თანხიდან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს რამდენი ევრო ერგო. ამისათვის მიზანშეწონილია განკარგულებაში შევიდეს ტექნიკური სახის შესწორება.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 22 დეპუტატი.**

**მომხრე: 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

## **მიღებულ იქნა დადგენილება N77 (29.09. 2017 წელი).**

### **სხვადასხვა:**

დეპუტატ, **გიორგი გოგუაძის** თქმით, მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტში 3 წლის განმავლობაში აშენდა რამდენიმე ახალი საბავშვო ბაღი და ბიუჯეტიდან დაიხარჯა დაახლოებით ორი მილიონი ლარი, არც ერთი მათგანი არ შეესაბამება იმ სტანდარტებს, რომელთაც ითხოვს მთავრობა. მისი თქმით, ის გაეცნო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის განხილვის შედეგებს და გაუკვირდა, თუ სად უნდა იპოვონ უმაღლესი, აკადემიური განათლების მქონე ექიმები და მზარეულები. ამასთან, საბავშვო ბაღებში ჯგუფები გადატვირთულია. მან აღნიშნა, რომ სკოლამდელ სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან შედარებით ჯერჯერობით მთავრობას არ აქვს მიღებული სტანდარტები.

ამიტომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს მხრიდან რაიმე ნორმატიული აქტის მიღება არ იქნება მართებული. მისი თქმით, ამ საკითხის მიმართ არ შეიძლება სიჩქარე.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ აჩქარებით რა თქმა უნდა, საქმე არ გაკეთდება, რადგან ყველაფერს ჭირდება თანმიმდევრობა. „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ კანონში საუბარია აღმზრდელი პედაგოგების სტატუსსა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პიროვნებებზე. რაც შეეხება საბავშვო ბაღებში დასაქმებულ ექიმებსა და პედაგოგებს, მათ აუცილებლად უნდა ქონდეთ უმაღლესი განათლება. მისი თქმით, საბავშვო ბაღები მართლაც გადატვირთულია და შეიძლება სტანდარტებს არ შეესაბამება. სწორედ ამიტომ იყო მისი მხრიდან საუბარი, რომ ქალაქის N1 საბავშვო ბაღის შენობას მიშენებოდა გარკვეული ფართი, რაც სამწუხაროდ, არ მოხერხდა. ავტორიზაცია არ არის მხოლოდ ინფრასტრუქტურა, არამედ ეს არის სანიტარულ - ჰიგიენური ნორმები, აღმზრდელ - პედაგოგების კვალიფიკაცია და ა. შ. ამიტომ, ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს ეს პროცესი. აქედან გამომდინარე, საუბარია პირობით ავტორიზაციაზე. 2018 წლის 31 დეკემბრისთვის უნდა დასრულდეს ავტორიზაციის პროცესი. არც ერთი საბავშვო ბაღი არ გაუქმდება, არამედ მათ მიეცემათ პირობითი ავტორიზაცია და განესაზღვრებათ 2 წლიანი ვადა, ანუ 2020 წლისთვის უნდა დასრულდეს მთლიანად ეს პროცესი. ამასთან, სამოქმედო გეგმა უნდა გაიწეროს იმის მიხედვით, თუ როგორ იქნება საბოლოო შედეგი მიღწეული. ზუსტი ფინანსური გათვლა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო ცენტრის ხელმძღვანელობასთან ერთად უნდა გააკეთოს გამგეობის შესაბამისმა სამსახურმა. არ შეიძლება ერთ ადგილზე დგომა, რადგან დრო არ ითმენს. მომავალ თაობას, ბავშვებს ჭირდებათ ღირსეული გარემო, რათა მათ ქონდეთ უკეთესი ხვალისდელი დღე.

დეპუტატმა **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში კუპრეიშვილის ქუჩის N12 ბინის სარდაფი არის წყლით სავსე, ხოლო სადარბაზოს ემუქრება ჩარეცხვა და ჩამოგრევა. შესაბამისი სამსახურები აუცილებლად უნდა დაინტერესდეს ამ კუთხით და პრობლემა მოაგვაროს დაჩქარებული ტემპით. დეპუტატის თქმით, რამდენიმე ხნის წინ საკრებულოში და გამგეობაში შემოვიდა მოქალაქეების განცხადება, რომლებიც ითხოვდნენ ქალბატონ ამალია ხუხუას წიგნის დაფინანსებისთვის თანხის გამოყოფას. ეს მოთხოვნა მუნიციპალიტეტის მხრიდან არ დაკმაყოფილდა იმ ფონზე, როცა მსგავსი საკითხი მუნიციპალიტეტს ადრე დაუფინანსებია. იგი დაინტერესდა, ნუთუ არ შეიძლებოდა ისეთი წიგნის დაფინანსება, რომელიც კულტურულ მემკვიდრეობად იქცეოდა. მან დააყენა ინიციატივა, რომ ქალბატონ ამალია ხუხუას მიენიჭოს ლანჩხუთის საპატიო მოქალაქეობა.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარეობს გაზიფიცირების პროცესი, ამავდროულად გაზის ტრანსპორტირების კომპანია აწარმოებს სამუშაოებს, რომელიც ქ. ქობულეთთან შეკრავს წრეს და გაზის



მომარაგება იქნება ორმხრივი. საყანე ფართობებიდან სამუშაოების შემსრულებელი კომპანიის მიერ ზოგ ადგილას ამოღებულ იქნა გაზის მილები. დარჩენილი ამოთხრილი კვლები კი წვიმის დროს იტბორება, რაც მოსახლეობას ურთულებს საყანე ფართობებთან მისვლას. კვლები ასევე საფრთხის შემცველია პურუტყვისთვის. მოსახლეობის თხოვნაა, იმ კომპანიამ, რომელიც სამუშაოებს ასრულებს, სწრაფად მოაგვაროს აღნიშნული პრობლემა.

დეპუტატმა აკაკი იმნაიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლამდელ სააღმზრდელო საგანმანათლებლო დაწესებულებებში აუცილებელია ფანჯრებზე დამცავი ბადის გაკეთება, ვინაიდან თბილისში იყო შემთხვევა, როცა ბავშვი ფანჯრიდან გადავარდა.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

გიორგი ხელაძე



საკრებულოს თავმჯდომარე  
საკრებულოს ბიურო